ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №7905831

ნომერი: AR11139514

თარიღი : 28.04.2026

გაცემის თარიღი : 04.05.2026

გაცნობის თარიღი : 05.05.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ირინა შტენბერგის ქუჩა, N 20ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჭუბაბრია პ/ნ 39001004669
- საქართველო, სენაკის მუნიციპალიტეტი, ქალაქი სენაკი, შოთა რუსთაველის ქუჩა, N 5

ორგანიზაცია:

- ნიუ ჰაუსი კოდი: 439865512

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 11 ივნისის №7512113 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 28 აპრილის №AR11139514 განცხადებით მომართა ალექსანდრე ჭუბაბრიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 11 ივნისის №7512113 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 11 ივნისის №7512113 ბრძანებით №01.19.20.005.034 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2025 წლის 23 ივნისის №7526397 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 11 ივნისის №7512113 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაემატა გამორჩენილი კიბის უჯრედისა და სადარბაზოს - 1087.5 კვ.მ., დამხმარე - 43.0 კვ.მ. და ავტოსადგომის - 559.9 კვ.მ. ფართობები. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდა 7387.5 კვ.მ. გარდა ამისა, სამსახურის 2025 წლის 11 ივნისის №7512113 ბრძანებით შეთანხმებული -3.00, 0.00 და +35.9 ნიშნულების გეგმები (გვ. 25, 26, 37) ჩანაცვლდა 2025 წლის 12 ივნისის №AR11095352 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2025 წლის 11 ივნისის №7512113 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, გამორჩენილია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად ღია ავტოსადგომების ფართობის (217.0 კვ.მ.) დაფიქსირება. ამასთან, -3.00 ნიშნულის გეგმაზე გამორჩენილია N13 ავტოსადგომის ნომრის მითითება. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. კერძოდ, სამსახურის 2025 წლის 11 ივნისის №7512113 ბრძანებით შეთანხმებულ (სამსახურის 2025 წლის 23 ივნისის №7526397 ბრძანებით ჩანაცვლებულ) 0.00 ნიშნულის გეგმაზე დატანილია 15 ღია ავტოსადგომი (ფართობი: 217.0 კვ.მ.), რომელიც ბრძანებაში ასახული არ არის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 11 ივნისის №7512113 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს: ღია ავტოსადგომები: 217.0 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 11 ივნისის №7512113 ბრძანებით შეთანხმებული (სამსახურის 2025 წლის 23 ივნისის №7526397 ბრძანებით ჩანაცვლებულ) -3.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული ამავე ნიშნულის გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 11 ივნისის №7512113 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 11 ივნისის №7512113 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.